

ბიულეტენი N13

აპრილი-ივნისი  
ახალციხე

2014წ.

# გზა წარმატებისაკენ!



[www.civics.ge](http://www.civics.ge)

[www.Initiatives.ge](http://www.Initiatives.ge)

[www.facebook.com/ახალციხის\\_ახალგაზრდული\\_ცენტრი](https://www.facebook.com/ახალციხის_ახალგაზრდული_ცენტრი)

[www.facebook.com/initiatives](https://www.facebook.com/initiatives)

პუბლიკაცია მომზადებული და გამოცემულია ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის „სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის მიერ - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

## ახალციხეში სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის შემაჯამებელი ფორუმი ჩატარდა



2014 წლის 14 აპრილს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის შემაჯამებელი ფორუმი ჩატარდა. ფორუმზე წარმოდგენილი იყო სამცხე-ჯავახეთში განხორციელებული 6 პროექტის ამსახველი ფოტო-მასალა. ფორუმი ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა მარინე სუდაძემ გახსნა და აუდიტორიას სიტყვით მიმართა.

ფორუმზე გაიმართა ფილმის ჩვენება, რომელიც შექმნილი იყო სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის ფარგლებში. სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის ფარგლებში სამოქალაქო კლუბების მიერ ჩატარებული ღონისძიებების პრეზენტაცია მოეწყო. რის შემდეგაც სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის წარმომადგენლებმა ქ-ნებმა თეა მშვენიერაძემ და მანანა ყუბანეიშვილმა შეაჯამეს შედეგები. მათ სამოქალაქო კლუბის წევრებს, მოწვეულ სტუმრებს, პროექტის ყველა მონაწილეს სიტყვით მიმართეს და მადლობა გადაუხადეს თანამშრომლობისათვის. ღონისძიების დასასრულს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა და პროგრამის წარმომადგენელმა პროექტების განხორციელებაში ჩართული სამოქალაქო განათლების პედაგოგები და კლუბის წევრები სერთიფიკატებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს, ხოლო ყველაზე აქტიურ 6 მონაწილეს (საპროექტო ჯგუფიდან თითო) პლანშეტური კომპიუტერები (თაბები) გადაეცათ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბანაკის საპროექტო ჯგუფების მხარდამჭერები: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურისა და სპორტის მთავარი სპეციალისტი ვაჰე ირიციანი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე სოფელ დიდი ხანჩალის დეპუტატი სედრაკ შახვაზიანი, სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის ფარგლებში შექმნილი



ფილმის ავტორი ქ-ნი ხათუნა ლულუნიშვილი, ბანაკის ფარგლებში მოწვეული სპეციალისტი ახალციხის ასოციაცია „ტოლერანტის“ ხელმძღვანელი ქ-ნი ცირა მესხიშვილი, რომლებმაც არაერთ ღონისძიებაზე საკუთარი წვლილი შეიტანეს საპროექტო იდეების ხარისხიანად განხორციელებისათვის.



ფორუმის ბოლოს მონაწილეებისათვის მოეწყო მეგობრული სუფრა, სადილის შემდეგ, კი ახალციხის ციხე მოინახულეს.

აღნიშნული ღონისძიება გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით ტელეკომპანია მე-9 არხით.

### ტრენინგი თემაზე: „პროექტის წერა და მართვა“



ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალდაბის და ყვიბისის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებს მცირე გრანტების პროექტის კოორდინატორმა მეგი ბერიძემ ჩაუტარა ტრენინგი თემაზე „პროექტის წერა და მართვა“. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა ტრენინგის მონაწილეთათვის საგრანტო ტერმინოლოგიის გაცნობა-შესწავლა, რეგიონისათვის სპეციფიური და საჭირო თემატიკის კვლევა, საგრანტო განაცხადის შევსების, ბიუჯეტისა და განხორციელების გეგმის შედგენის შესწავლა და სხვადასხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობის სწავლება. ტრენინგის დაწყებისას „ტვინის შტურმის“ მეთოდით ტრენინგის მონაწილეებმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვეს ტერმინების შესახებ: გრანტი, პრობლემა, მიზანი, დონორი, ბენეფიციარი, განხორციელების გეგმა, ბიუჯეტი, თანამონაწილეობა, პოტენციური მხარდამჭერი. მოსწავლეებს ზუსტი განმარტება მიეწოდათ აღნიშნულ ტერმინებთან დაკავშირებით. ტრენინგის მონაწილეებმა გამოკვეთეს მათი თვალსაზრისით სკოლისათვის საჭირო და პრობლემური თემა. ახალგაზრდებმა იმუშავეს თემაზე: „სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ შერჩეული კონკრეტული სფეროს მიხედვით შეიმუშავეს პროექტი. განსაზღვრეს პრობლემა, მიზანი, შედეგი, დაასახელეს პოტენციური მხარდამჭერები. შეიმუშავეს ბიუჯეტი და განხორციელების გეგმა.

### 9 აპრილის ღონისძიება "ქართულ-სომხური ძმობა"



ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის სომხურენოვან საჯარო სკოლაში 9 აპრილს, დაღუპულთა პატივსაცემად, ღონისძიება ჩატარდა სახელწოდებით "ქართულ-სომხური ძმობა", რაც გულისხმობდა 9 აპრილის ტრაგიკული დღის გახსენებას. ღონისძიების ორგანიზატორი სოფელ დამალის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და სამოქალაქო კლუბი „მერკური“ იყო. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც სამოქალაქო კლუბის წევრები ასევე სხვა მოსწავლეები, მშობლები და თემის წარმომადგენლები, რომლებმაც საკუთარი მოსაზრებები და ისტორიული ფაქტები გაიხსენეს. „დღევანდელი ღონისძიებით ჩვენ პატივს მივაგებთ ამ სამინელო დღეს დაღუპულ გმირებს. ეს დღე საქართველოს ტკივილად რჩება“. - აღნიშნა დამალის სკოლის სამოქალაქო კლუბის მეურვემ მარინა ბროიანმა. „ქართველო მეგობრებო, ჩვენ სომხები საუკუნეების განმავლობაში თქვენს გვერდით ვიყავით, ვართ და ვიქნებით!“ – აღნიშნული სიტყვებით და სურათებით კედლის გაზეთები მოამზადეს კლუბის წევრებმა, რომელიც დამალის საჯარო სკოლის ფოიეში განთავსდა. ღონისძიების მიზანი იყო სამოქალაქო კლუბის წევრებს გაეთავისებინათ და 25 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ 9 აპრილი და წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ამ დღეს დაღუპულ გმირებისათვის.

## "ჩვენ ვსწავლობთ სამოქალაქო განათლებას"



ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლაში 11 აპრილს ჩატარდა ინტელექტუალური თამაში: "ჩვენ ვსწავლობთ სამოქალაქო განათლებას". სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბს სტუმრად მოწვეული ჰყავდა სოფ. არლის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი. ინტელექტუალური თამაშში მონაწილეობა მიიღო ორმა გუნდმა „იმედმა“ და „მეგზურმა“. თამაში ჩატარდა ორ ეტაპად, პირველი ეტაპი მოიცავდა კითხვებზე პასუხების გაცემას (კითხვარები

მომზადებული იყო დამხმარე სახლმძღვანელოებიდან), ხოლო მეორე ეტაპი იყო "მუსიკალური ლიგა" სადაც სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებმა ფონოგრამაზე შეასრულეს საბავშვო და ცნობილი სიმღერები კინოფილმებიდან. ღონისძიება მოეწყო დიდი სმადის სამოქალაქო განათლების პედაგოგის ქ-ნი მარი ტყემალაძის ინიციატივით, ღონისძიებას ესწრებოდა ამავე სკოლის დირექტორი ქ-ნი ირმა ქიმაძე, სოფლის რწმუნებული, სკოლის სამეურვეო საბჭო და 30-მდე მოსწავლე. სოფ. არლის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ქ-ნმა ეთერ კაჭკაჭაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ინიციატორს, სკოლის დირექტორს და ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრს აქტიური მხარდაჭერისათვის. მოსწავლეებს მოუწოდა, რომ ხშირად მოაწყონ მსგავსი ტიპის ღონისძიებები, რადგან ეს ხელს შეუწყობს მათ დაიმკვიდრონ თავი სამოქალაქო საზოგადოებაში. ღონისძიების დასასრულს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებს პროექტში აქტიურად ჩართვისათვის და საჩუქრად გადასცა წიგნები.

## ისტორიული ძეგლების გაცნობა და ინტეგრაცია

15 აპრილს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლზე



„კოხტას ციხეზე“ აწყვიტის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „პრესტიჟის“ აქტიური წევრებისათვის ექსკურსია მოეწყო. ღონისძიებას სოფელ აწყვიტის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის მეურვე პედაგოგი ზეინაზ ივანიძე ხელმძღვანელობდა, ექსკურსიის მგზავრობის ხარჯები სოფლის რწმუნებულის ჯიმშერ ტატურაშვილის დაფინანსებით მოხდა, თავისი დამოკიდებულება სოფლის რწმუნებულმა წარმატებული კლუბისათვის ამ საჩუქრით გამოხატა. ექსკურსიას კოხტას ციხეზე მთავარ მიზანს ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა, აწყვიტის სამოქალაქო კლუბს შეუერთდნენ დამალის საჯარო



სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრები და კლუბის მეურვე მარინა ბროიანი, რომლებმაც მეგზურობა გაუწია აწყვიტის სკოლას. აღნიშნული ღონისძიებით ქართველმა და სომეხმა მოსწავლეებმა საკუთარ მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული ძეგლების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია შეიტყვეს, განივითარეს ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთთან დამოკიდებულებების ქცევები, დასახეს სამომავლო გეგმები. სკოლაში დაბრუნებულმა კლუბის წევრებმა შთაბეჭდილებები გაუზიარეს თანატოლებს და მადლიერება გამოხატეს ხელმძღვანელების მიმართ. გასვლითი ღონისძიებები ახალ ენერგიას და ხალისს მატებს მოსწავლეებს.

## სამოქალაქო კლუბის წევრები ახალქალაქის სასამართლოში



22 აპრილს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრები ახალქალაქის სასამართლოს ესტუმრნენ. კლუბის წევრები სასამართლოს სხდომას დაესწრნენ, რომელსაც არარატ ესოიანი მართავდა. სასამართლო სხდომის შემდეგ, მოსამართლემ მოსწავლეებს სხვადასხვა შეკითხვებზე გასცა პასუხი, რაც ეხებოდა დანაშაულთა ჩადენის რიცხვს და სასამართლოში მოხვედრილ მსჯავრდებულებს. ასევე მოსამართლისა და სასამართლოს მუშაობის პრინციპებს. ღონისძიების დასასრულს კლუბის წევრებმა დაათვალიერეს სასამართლოს შენობა და გაეცვინ სასამართლოში მომუშავე კადრებს.

## სოციალური კვლევის მეთოდები



ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალდაბის, ყვიბისის, სოფ ვარხნის და აბასთუმნის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე: „სოციალური კვლევის მეთოდები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ამავე საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებმა. ტრენინგის მონაწილეთათვის ტრენინგი საინტერესო აღმოჩნდა, კლუბის წევრები გაეცვინ სოციალური კვლევის მეთოდებს, გამოკითხვის

სხვადასხვა ტიპებს და დაგეგმეს კვლევის ჩატარება თავიანთ თემში სოციალური პრობლემების გამოსავლენად.

## თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგი ჯანსაღ ცხოვრების წესზე



24 აპრილს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურაველის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „ურაველის“ წევრებმა თანასკოლელებისათვის ჩაატარეს ტრენინგი თემაზე: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“. ურაველის საჯარო სკოლაში სამოქალაქო კლუბის წევრებმა შეარჩიეს ტრენინგისათვის VII –IX კლასის მოსწავლეები. მათ გამოიყენეს პროგრამის ფარგლებში შექმნილი საიტი civics.ge-ს ონლაინ ბიბლიოთეკა. ტრენინგის

მონაწილეებმა ნახეს სამოქალაქო კლუბის წევრების მიერ მომზადებული კედლის გაზეთები, მასალა და ვიდეო რგოლი, რის შემდეგაც მოსწავლეებს შორის გაიმართა დისკუსია. მნიშვნელოვანია, რომ თანატოლებს შორის გაიმართა საუბარი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, რადგან თავიდანვე მოხდეს მოზარდებისათვის სწორი გზის მითითება. ღონისძიებამ ურაველის საჯარო სკოლის მოსწავლეებში დიდი მოწონება დაიმსახურა და მზად ყოფნა გამოთქვეს მსგავსი ტიპის ღონისძიებების განმეორებით მონაწილეობაზე.



## დედამიწის დღე ახალციხეში



ახალციხის N6 საჯარო სკოლაში დედამიწის დღესთან დაკავშირებით სამოქალაქო კლუბმა “დისპერსიამ” ღონისძიება მოაწყო. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის VII, VIII, IX, X, XI კლასის მოსწავლეები, პედაგოგები და სკოლის დირექცია. ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეებში აღნიშნული დღისადმი ცნობიერების ამაღლება, გარემოსდაცვითი კულტურის დამკვიდრება და ზრუნვა. კლუბის მონაწილეებმა წარმოადგინეს

პრეზენტაციები სახელწოდებით „დედამიწის დღე“, ეკოლოგიური საფრთხეები და სტატისტიკა. კლუბის ლიდერმა მარიამ მოსიაშვილმა მონაწილეებს გააცნო თავისი ბლოგი [www.chemibuneba.wordpress.com](http://www.chemibuneba.wordpress.com) და ესაუბრა საკუთარი ბლოგის შესახებ, რომელმაც მარიამს პირველი ადგილი მოუტანა ნომინაციაში ბუნების დამცველი. სასწავლო პროცესის განმავლობაში კლუბის ინიციატივით სკოლაში გამორთო სინათლე, ხოლო ელექტო ზარი შეცვალა მექანიკურმა ზარმა, გეოგრაფიის მასწავლებელმა მანანა გოგოლაძემ ისაუბრა იმ გლობალურ გამოწვევებზე, რაც დედამიწის წინაშე დგას. ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებმა მსვლელობა მოაწყეს პლაკატებით და შეუერთდნენ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ღონისძიებას, სადაც გაიმართა ფილმის ჩვენება და დისკუსია.



## გარემოსდაცვითი კვირეული ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში

15 მაისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბის საჯარო სკოლაში სამოქალაქო



განათლების პედაგოგის ნინო ღონღამის ორგანიზებითა და სამოქალაქო კლუბის წევრების, ახალგაზრდების ინიციატივით განხორციელდა გარემოსდაცვითი კვირეული. გარემოსდაცვის სამინისტრომ ბორჯომის მუნიციპალიტეტს ნარგავები გადასცა დასარგავად; მურადი ჩადუნელმა, მალხაზი ჩადუნელმა, თემურ ხუხუნაიშვილმა და ახალდაბის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის

წევრებმა ერთობლივად დარგეს ფოთლოვანი ხეები სკოლის ეზოს ტერიტორიაზე, გაჩეხილ ფერდობებზე და ახალდაბის საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე. გამწვანების აქციის შემდეგ, სამოქალაქო კლუბის წევრებმა შექმნეს ნახატები თემაზე “დედამიწა”, სადაც უმცროს კლასელებიც ჩაერთვნენ. გარემოსდაცვითი კვირეული სახალისო თამაშით დასრულდა, რაც გულისხმობდა დიდი წრის გაკეთებას. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართული იყვნენ, ახალდაბის ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და ადგილობრივი თვითმმართველობა.



## დედამიწის დღე ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევში



26 აპრილს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა "მზერამ" დედამიწის დღესთან დაკავშირებით ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით ცაცხვისა და ვერხვის ნერგები სკოლის ეზოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგო. ნერგები კლუბს სოფლის საკრებულოს უფროსმა სპეციალისტმა პავლე მეხრიშვილმა გადასცა და თავადაც მიიღო



მონაწილეობა გამწვანების აქციაში. კლუბის წევრებმა დედამიწის დღესთან დაკავშირებით ტრაფარეტები მოამზადეს, სადაც დედამიწის დაცვის შესახებ ინფორმაციები განათავსეს. ღონისძიებას სამოქალაქო კლუბის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მშობლები.

## სოციალური მედიის ტრენინგები



გრძელდება სოციალური მედიის ტრენინგი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდებარე საჯარო სკოლებში, რომელიც სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. სოციალური მედიის ტრენინგი აღნიშნული პროექტის მონაწილე - უდის #1 საჯარო, აწყურის და კლდის საჯარო სკოლებში ჩატარდა. ტრენინგს ამავე



საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის აქტიური მოსწავლეები ესწრებოდნენ. ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეები გაეცნენ ვიდეო პორტალს Civics.ge-ს, შექმნეს ელექტრონული ფოსტა, შემდეგ განიხილეს სხვადასხვა ნომინაციები და სასურველ თემებზე შექმნეს ბლოგები. ასევე შეიქმნა ტრენინგის მონაწილე საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების ბლოგები, სადაც მოხდება იმ ღონისძიებებისა და აქტივობების განთავსება, რომელსაც განახორციელებენ სკოლაში. „ეს დღე ჩემთვის სასარგებლო და ნაყოფიერი იყო, ამის შემდეგ თავისუფალ დორს დავუთმობ ჩემს ბლოგს, ვეცდები, რომ წარმატებული ბლოგერი გავხდე“ - აღნიშნა უდის #1 საჯარო სკოლის მოსწავლემ ლილი მღებრიშვილმა. მოსწავლეებში სოციალური მედიის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

## “ მომავლის ბაღი ”



სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „მომავლის ბაღი“.

აღნიშნული პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტის სატყეო მეურნეობის მხარდაჭერითა და პარტნიორი სკოლების: სოფ. ჭობისხევის, სოფ. ფოკის, ქ. ახალქალაქის N1, N3 საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და პედაგოგების, მონაწილეობით განხორციელდა. 2014 წლის 26 მარტს სამოქალაქო განათლების პედაგოგის ელენე გოგოლაძის, ბანაკის მონაწილე პედაგოგის ია ქოზაშვილის ორგანიზებით და კლუბის ლიდერის, სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის მონაწილის, ტრისტან სამსონაშვილის თაოსნობით სოფელ ჭობისხევის სკოლის მიმდებარე

ტერიტორია გამწვანდა, რომლისათვისაც ფიჭვის ნერგები ბორჯომის მუნიციპალიტეტის სატყეო მეურნეობამ გამოყო. პროექტის ფარგლებში მწვანე მონასტერის ტერიტორიაზე ფოლკლორული სადამო გაიმართა, სადაც მონაწილე სკოლის წარმომადგენლებმა სიმღერებით და ცეკვებით წარმოადგინეს თავიანთი ერის კულტურა. ერთობლივად შეასრულეს ქართული ხალხური ცეკვები. ამავე წლის 4 აპრილს კი ქ. ახალქალაქის #1 და #3 საჯარო სკოლებში მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, რომელსაც ესწრებოდა ახალქალაქის გამგეობის სპეციალისტი გოჭარ ხაჩატურიანი. გამოფენის შემდეგ აღნიშნულ საჯარო სკოლებში დაირგო ნერგები.



ახალქალაქის #3 საჯარო სკოლაში ჩატარდა „მხიარული სტარტები“, სადაც პროექტის მონაწილე მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, შეჯიბრების დასასრულს მათ გადაეცათ პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული საჩუქრები. აღნიშნული ღონისძიება ქ. ახალქალაქის #1 და #3 საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის მეურვეების ჟანა ხაჩატურიანისა და ერანიკ მაკარიანის ორგანიზებით და კლუბის ლიდერების, სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის მონაწილეების, ტატია მოსოიანისა და გოჭარ გიულმისარიანის თაოსნობით ჩატარდა.



ღონისძიებას ესწრებოდნენ ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები და ზემოთ ჩამოთვლილი სკოლების დირექციის წარმომადგენლები.

## საინფორმაციო ბანერის დამონტაჟება სოფ. რუსთავის ცენტრში



ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. რუსთავის სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში 2 მაისს სოფლის ცენტრში დაამონტაჟეს საინფორმაციო ბანერი. ვინაიდან პროექტი ითვალისწინებდა თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ტერიტორიის გამოყოფა და ბანერის დამზადება უზრუნველყო სოფლის ტერიტორიული მოწყობის

რწმუნებულმა ბ-ნ არჩილ კახაძემ, რომელმაც კლუბის წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო აღნიშნული ბანერის დამონტაჟებაში. როგორც ბატონმა არჩილმა აღნიშნა მიესალმება ახალგაზრდების ინიციატივას, რადგან ისინი ფიქრობენ უკეთეს მომავალზე. ახალგაზრდებს დახმარება გაუწიეს პედაგოგებმა და მშობლებმა. ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებმა კი კლუბის წევრებს გადასცეს საინფორმაციო დაფა, რომელიც სკოლის ფოიეში განთავსდა. ღონისძიება გააშუქა ადგილობრივმა ტელევიზიამ.





## ვიზიტი ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

7 მაისს სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით სამოქალაქო კლუბის წევრები ეწვივნენ ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკის მენეჯერმა თინათინ კაპანაძემ დეტალურად დაათვალიერებინა მოსწავლეებს ბიბლიოთეკა, მისი მუშაობის პრინციპები, ახალი ინვენტარი და განახლებული ლიტერატურა. გააცნო ასევე საბიბლიოთეკო პროგრამის მუშაობა. ერთ-ერთი მათგანი- გაგა ზედგინიძე დარეგისტრირდა კიდევ ბიბლიოთეკაში ელექტრონული პროგრამით.



ვიზიტის სხვა მონაწილეები დაინტერესდნენ ბიბლიოთეკის მენეჯერის მიერ წარდგენილი ახალი ლიტერატურით, რომელიც ყოველწლიურად განახლებადია, შეარჩიეს თავიანთთვის საინტერესო წიგნი და წასაკითხად გაიტანეს. იზო აფრიამაშვილმა აღნიშნა: „დღევანდელი ვიზიტი მნიშვნელოვანია ჩემთვის, გავეცანი ახალ საბიბლიოთეკო პროგრამას, რომელიც დამეხმარება უფრო მარტივად მოვიძიო ჩემთვის სასურველი ინფორმაცია“. ვიზიტის მიზანი იყო ახალგაზრდებში წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა, ყველა იმ საშუალების გაცნობა, რის შესაძლებლობასაც გვაძლევს ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკა. ვიზიტი წაყოფიერი აღმოჩნდა სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის.

### ნაბიჯი ინტეგრაციისაკენ



5 მაისს ახალქალაქის N1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის ერანუი მაკარიანის ხელშეწყობით სამოქალაქო კლუბის წევრები, სარეაბილიტაციო ცენტრის აღსაზრდელებს ესტუმრნენ. ქ. ახალქალაქის სარეაბილიტაციო ცენტრში ძირითადად შშმპ-ბი არიან და სხვადასხვა სასარგებლო უნარ-ჩვევებთან ერთად საოჯახო ნივთებისა და სუვენირების მომზადებას სწავლობენ. სამოქალაქო კლუბის წევრებმა სუვენირების მომზადების გაკვეთილზე ცენტრის

აღსაზრდელებთან ერთად ქართული ტრადიციული ტექნოლოგიით დაამუშავეს თექა და საინტერესო სუვენირები დაამზადეს. ერთობლივი ღონისძიებით ძალიან გახარებული იყვნენ ცენტრის აღსაზრდელები და მონაწილე სამოქალაქო კლუბის წევრები. აღნიშნული ინიციატივით სამოქალაქო კლუბის წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მეგობრობა ყველაზე მნიშვნელოვანი და კარგი ნაბიჯია ინტეგრაციისაკენ.



## სოფ. ომორისა და სოფ. დამალაში მიმანიშნებელი ტრაფარეტების განთავსება



სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის, ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში. ასპინძის ჯგუფის ახალგაზრდების მიერ წამოიჭრა პრობლემა თემის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. კერძოდ სოფ. ომორისა და სოფ. დამალის ახალგაზრდებმა დასვეს საკითხი, რომ არ არსებობდა მათ სოფელში მისასვლელ გზაზე მანიშნებელი ტრაფარეტები, სადაც კმ-ების გამოსახვით იქნებოდა აღნიშნული დაშორება რაიონული ცენტრიდან სოფლებამდე, ასევე ბანერზე განთავსებული იქნებოდა

სოფლებში არსებული ისტორიული ძეგლები, რადგან ცენტრალურ გზაზე მიმავალ ტურისტებს გაადვილებოდათ ამ სოფელში მისვლა და ისტორიული ძეგლების მონახულება. ომორისა და დამალის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების აქტიური მოსწავლეები შეხვდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ლევან ცაბამეს, სადაც დასვეს საკითხი ამ ტრაფარეტების დამზადებასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ეს საკითხი მოსაგვარებელი იყო ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ და მათ უნდა გამოეყოთ სპეციალური ადგილები, სადაც განთავსდებოდა ეს მანიშნებელი ტრაფარეტები. ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელშეწყობით და სოფლის თემის დახმარებით აღნიშნული ტრაფარეტები მონიშნულ ადგილას განთავსდა. დამატებითი ხარჯები კი გაიღო სოფლის თემმა.



## ვიზიტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ ასოციაცია „ტოლერანტი“-ში



არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპი მეტად აქტუალური თემაა ახალგაზრდებში, სამოქალაქო კლუბის წევრებმა გამოთქვეს სურვილი გასცნობოდნენ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობის პრინციპს. 2014 წლის 8 მაისს სამოქალაქო კლუბის წევრები ეწვივნენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ ასოციაცია „ტოლერანტს“. ახალგაზრდებს გიღობა გაუწია ასოციაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა ცირა მესხიშვილმა, რომელმაც მათ დაწვრილებით გააცნო ორგანიზაციის მუშაობის

შედეგები, უამბო ასოციაციის დაარსების და საქმიანობის შესახებ. ქალბატონმა ცირამ მოსწავლეებს გააცნო ორგანიზაციის თანამშრომლები და დაათვალიერებინა თავიანთი სამუშაო გარემო. ვიზიტის მიზანი იყო ახალგაზრდები გასცნობოდნენ სხვა პროფილით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მეტად საინტერესო აღმოჩნდა მათთვის. სამოქალაქო კლუბის წევრებმა გაიგეს იმ აქტუალური პრობლემების შესახებ, რომელიც აწუხებთ თავიანთ თანატოლებს. ქ. ახალციხის #1 საჯარო სკოლის მოსწავლე თორნიკე მეტრეველი აღნიშნავს „ვიზიტი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩემთვის, გავეცანი ორგანიზაციას, სადაც ხდება პრობაციონერთა დახმარება, ვთვლი რომ ამ ადამიანებს ნამდვილად ესაჭიროებათ ჩვენი გვერდში დგომა“.



## პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სამი პედაგოგი დაჯილდოვდა



ქალაქ თბილისში 3 მაისს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წლიური კონფერენცია-გამოფენა ჩატარდა, ფორუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რეგიონის 350 პედაგოგმა და მოწვეულმა სტუმრებმა. ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ სამოქალაქო განათლების სფეროს სიახლეებსა და ინოვაციებს, მიიღეს ინფორმაცია პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ აშშ საერთაშორისო განვითარების

სააგენტოს კავკასიის მისიის დირექტორი, ბ-ნი სტივენ ჰეიკინი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქ-ნი ლია გიგაური და ქ-ნი მარინა უშვერიძე, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის დირექტორი. ქ-მა მარინა უშვერიძემ ისაუბრა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის საქმიანობაზე და შედეგებზე. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის საქმიანობაზე ისაუბრა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის გამგეობის თავმჯდომარემ ქ-მა ნინო ბესელიამ; სამოქალაქო განათლების სწავლების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის პრეზენტაცია წარმოადგინა ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ექსპერტმა ნიკოლოზ სილაგაძემ; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის პედაგოგების პროფესიული განვითარების განახლებული სქემა მასწავლებლებს პედაგოგთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტმა ქ-მა მანანა რატიანმა გააცნო. სტუმრებმა და მონაწილეებმა დაათვალიერეს სამოქალაქო კლუბების საქმიანობის ამსახველი ფოტო-გამოფენა. ფორუმის მონაწილე პედაგოგები, მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაესწრნენ სემინარებს, რომელთა სადისკუსიო თემები იყო: სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების



გამოყენება (ფასილიტატორები: ნინი ბესელია, ნონა ფიფია), გენდერული განზომილება თანამედროვე მოქალაქის აღზრდაში (ფასილიტატორი: ნინო გოგოლაძე), დებატები- მიზანი თუ საშუალება (ფასილიტატორები: თეა ლობჯანიძე, მარი აბულაძე), სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამები (ფასილიტატორი: ნიკო სილაგაძე). კონფერენციის დასასრულს წლის



საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. სამოქალაქო განათლების ფორუმის საპატიო ჯილდო - მადლობის სიგელი და „სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგის“ პრიზი გადაეცა თერთმეტი რეგიონის თერთმეტ საუკეთესო პედაგოგს მათ შორის დაჯილდოვდა ახალციხის N2 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი მანანა დათებაშვილი. სასკოლო სამოქალაქო კლუბის საუკეთესო მეურვედ დასახელდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. დამალის

სომხურენოვანი საჯარო სკოლის პედაგოგი მარინა ბროიანი, წარმატებული სამოქალაქო განათლების პედაგოგად კი ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. აწყვიტის საჯარო სკოლის პედაგოგი ზეინაზ ივანიძე. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი ჩატარდა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) პარტნიორობით. ფორუმი გაშუქდა ტელეკომპანიების -”იმედის”, ”ერთსულოვნების” და ”აჭარას” მიერ.

### „ბორჯომი ტურიზმის ქალაქია“



ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებმა დაწერეს პროექტი სახელწოდებით „ერთად ტურიზმის განვითარებისათვის“. 2014 წლის 7 მარტს ფორუმის მონაწილე მოსწავლეები ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ დიმიტრი ბერიძეს შეხვდნენ და წარუდგინეს შემუშავებული სარეკლამო ბანერის ნიმუში, რომელზეც იქნებოდა წარწერა - „ბორჯომი ტურიზმის ქალაქია“. აღნიშნული ბანერის განთავსებისათვის ადგილის შერჩევა გამგებელს



სთხოვეს. მარტის თვის ბოლოს, ბატონ დიმიტრი ბერიძეს ოფიციალური წერილი გაეგზავნა, სადაც ახალგაზრდული ფორუმის მონაწილეები ითხოვდნენ ინფორმაციას, თუ სად განთავსდებოდა აღნიშნული ბანერი და რომ მათ გამგეობა დახმარებოდა პროექტის განხორციელების პროცესში.

ამა წლის 20 მაისს ახალგაზრდული ფორუმის მონაწილე სკოლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით ქ. ბორჯომის შემოსასვლელში, თვალსაჩინო ადგილას განათავსდა ბანერი. დამონტაჟებაში მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდული ფორუმის მონაწილე ბორჯომის მუნიციპალიტეტის პარტნიორი საჯარო სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი თვითმმართველობა და მოსახლეობა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა სოციალური გვერდი, სადაც დატანილია ბორჯომში არსებული ღირსშესანიშნაობები. ბანერის განთავსება გააშუქა ტელეკომპანია „ბორჯომმა“.

### ტრენინგი ეფექტური კომუნიკაცია



ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. განძის N1 და ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. რველის საჯარო სკოლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ეფექტური კომუნიკაცია. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ამავე საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებმა. ტრენინგი დაიწყო ორგანიზაციისა და კომპონენტის მიმოხილვით, მონაწილეებმა შეასრულეს გაცნობის სავარჯიშო „სახელი და ზედსართავი სახელი“, გუნდის შეკვრის სავარჯიშო „კომკები“ და ენერჯაიზერები, რომლებიც მიმართული იყო გუნდში (კლუბში)

ეფექტური მუშაობის უნარ-ჩვევების განსავითარებლად. მონაწილეები გაეცნენ ეფექტური პრეზენტაციის მომზადების ეტაპებს და ჯგუფებში მოამზადეს საკლუბო ღონისძიების პრეზენტაცია მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. ასევე გაეცნენ კომუნიკაციის სახეებს და ფორმებს მიმართულების მიხედვით, ინტერპერსონალურ კომუნიკაციას, სიტყვიერ კომუნიკაციას (აგიტაცია, პროპაგანდა, დიალოგი), ტექნიკურ კომუნიკაციას (ტელეკომუნიკაცია), ჯგუფურ კომუნიკაციას (მარკეტინგი), კულტურათაშორის კომუნიკაციას. შესრულდა როლური სავარჯიშოები, განხილულ იქნა სუბიექტური რეალობა, ოპტიკური ილუზიის მაგალითზე. თითოეულმა ჯგუფმა აგრეთვე გასცა უკუკავშირი.



ტრენინგის მიზნას წარმოადგენდა: მონაწილეებს მიეღოთ წარმოდგენა სასკოლო სამოქალაქო კლუბებისა და მათი მუშაობის არსის შესახებ. გაცნობოდნენ კლუბში მუშაობისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევებს, სამოქალაქო განათლების არსს და კლუბური საქმიანობის წარმართვის მეთოდებს.

## დისკუსია თემაზე: „სსმ ბავშვი ჩვენს გვერდით“

6 მაისს აწყვეტის საჯარო სკოლაში გაიმართა დისკუსია თემაზე: „უნდა სწავლობდეს თუ არა სსმ



ბავშვი ჩვენს გვერდით“, რომელსაც უძღვებოდნენ კლუბის ლიდერი მოსწავლეები: ანა ბერიძე და ლია ივანიძე. დისკუსიაში კლუბის ყველა წევრი მონაწილეობდა. არგუმენტირებული მსჯელობისას გამოიკვეთა განსხვავებული აზრები. მოსწავლეები იცავდნენ დისკუსიის წესებს, ერთმანეთის აზრს პატივს სცემდნენ და ამტკიცებდნენ საკუთარ მოსაზრებას. საუბარში განსაკუთრებულად აქტიურობდნენ: მარიამ ფერაძე, მოსე ივანიძე, მაკა ივანიძე, ანა

ბერიძე, ანა ბერიძე და სხვები. მოსწავლეებმა სსმ-ის ცხოვრება გაითავისეს, რამაც მათზე ძალიან იმოქმედა. კლუბის მეურვე პედაგოგმა ზეინაბ ივანიძემ მოსწავლეებს გაუზიარა საკუთარი აზრი პირადი გამოცდილებიდან, პრაქტიკიდან არგუმენტების მოყვანით და შეაჯამა ღონისძიება. მოსწავლეებმა წარმოიდგინეს თუ როგორ დაუდგებოდნენ გვერდში თანატოლს, რა პირობებს შეუქმნიდნენ მათ სკოლის მხრიდან, რომ თავი ეგრძნოთ სრულფასოვან მოქალაქეებად.

„მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა რომ მოგექცნენ შენ“–ამ სიტყვებით გახსნა სამოქალაქო კლუბის „ოცნებიდან რელობამდე“–შეხვედრა 7 მაისს ახალციხის 1 საჯარო სკოლის სპეცპედაგოგმა ქნ-მა ქრისტინა ლაზარაშვილმა. შეხვედრა ჩატარდა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის და „განათლება ყველასათვის,, მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო კვირეულში - თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობა: განათლება და შეზღუდული შესაძლებლობა. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა სამოქალაქო კლუბის 35 მოსწავლე. ნინო ნადირაძემ, როგორც კლუბის ხელმძღვანელმა გააცნო მოსწავლეებს შეხვედრის მიზანი. ისაუბრა ინკლუზიური განათლების არსზე და მის პრინციპებზე. სამედიცინო და სოციალურ მოდელზე, სხვადასხვა ნოზოლოგიებზე. მოსწავლეებმა ჯგუფებში იმუშავეს, თითოეულ ჯგუფს დარიგებული ჰქონდათ მასალები დაუნის სინდრომის, ცერემბრალური დამბლის, ეპილეფსია/გულყრა, დიაბეტის შესახებ. მათ გარკვეულ დროში უნდა დაემუშავებინათ მასალა და დიდ ფლიფჩარტზე წარმოედგინათ ნახატის ან მოკლე ჩანაწერის სახით. თითოეულმა ჯგუფმა მუშაობის შემდეგ წარმოადგინა დაავადების მახასიათებლები და რა სირთულეები ხვდებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ცხოვრებაში, წარმოადგინეს გადაჭრის გზები და გამოხატეს თავიანთი განწყობა–დამოკიდებულება. სპეც პედაგოგმა განავრცო თითოეული დაავადება.



მოსწავლეებმა პრეზენტაციების შემდეგ გამართეს დისკუსია და მივიდნენ დასკვნამდე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სჭირდებათ არა შეცოდება, არამედ თანადგომა.

**ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის მიერ პროექტის  
ოთხწლიანი მიღწევები შეჯამდა**



2014 წ. 21 მაისს ქ. ახალციხეში ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-II კორპუსში, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, პროექტის დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიება ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა მარინე სუდაძემ გახსნა, რომელმაც პროექტის ოთხწლიანი მიღწევები შეაჯამა. პედაგოგთა ფორუმის სამცხე-ჯავახეთის კოორდინატორმა

შორენა ხმალაძემ ისაუბრა პედაგოგთა ფორუმის მიზნებზე და ამოცანებზე, ასევე აღნიშნა, რომ პედაგოგთა ფორუმის დაარსებიდან დღემდე სამცხე-ჯავახეთს ჰყავს 7 გამარჯვებული პედაგოგი და სამომავლოდაც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას სამცხე-ჯავახეთის პარტნიორ სკოლებთან. საუკეთესო სამოქალაქო კლუბის პრეზენტაცია მოაწყო ახალციხის N1 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა „ოცნებიდან რეალობამდე“, სადაც სამოქალაქო კლუბის წევრებმა წარმოადგინეს 2010 წლიდან დღემდე საკლუბო მუშაობა და მიღწევები. დამოუკიდებელი პროექტის პრეზენტაცია მოაწყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „მზერას“ წევრმა გიორგი ზაკუტაშვილმა. აღნიშნული პროექტი იყო თვითმმართველობასთან თანამშრომლობის მაგალითი. საუკეთესო მცირე გრანტის პრეზენტაცია მოაწყო ასპინძის მუნიციპალიტეტის, სოფელ რუსთავის სამოქალაქო კლუბმა „ხელი-ხელს“. პროექტი “თანამშრომლობით შევძლებთ“, გულისხმობდა სოფლის პრობლემის მოგვარებას. მცირე გრანტის მოპოვების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით სოფელ



რუსთავის ცენტრში საინფორმაციო ბანერი განთავსდა. ახალგაზრდული ფორუმის საუკეთესო პროექტის პრეზენტაცია წარმოადგინა ასპინძის მუნიციპალიტეტის, სოფელ დამალის არაქართული (სომხური) საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა „მერკურმა“. სოფელ დამალასა და ოშორაში მიმავალ გზაზე დაიდგა ბანერი, სადაც მითითებულია სოფლის სახელი და ისტორიული ძეგლი, რომელიც სოფელში მდებარეობს. ტრაფარეტის დამონტაჟება ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ნებართვით



განხორციელდა. ადგილობრივი ტელეკომპანია მე-9 არხში სტაჟირების პროგრამის წარმატებაზე ისაუბრეს ვარლამ წიკლაურმა და ავთანდილ ლომიძემ, რომლებიც ამჟამად აღნიშნულ ტელევიზიაში ახალგაზრდული გადაცემის “TOP -9”-ის წამყვანები არიან. სოციალურ მედიაში გამარჯვებულმა ბლოგერებმა ნანა აკოფიანმა და ანა ხუციშვილმა, ბლოგით მოპოვებული წარმატება გააცნეს საზოგადოებას. ღონისძიების დასასრულს საპატიო სტუმრებმა და პროექტის მხარდამჭერებმა ისაუბრეს პროგრამის შესახებ, ტელეკომპანია მე-9 არხის წარმომადგენელმა თამარ ფეიქრიშვილმა ისაუბრა ტელევიზიის ყველა იმ სიუჟეტზე რაც კი პროგრამის ფარგლებში გაუშუქებიათ და აღნიშნა რომ პროექტი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც სკოლებისათვის ასევე საზოგადოებისათვის. სასკოლო სამოქალაქო კლუბის ლიდერის მშობელმა

თამარ ქომოშვილმა კი მისი შვილის წარმატებაზე და პროგრამის როლზე ისაუბრა, რამაც შეცვალა სოფელ არალის სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, აღნიშნა რომ მის შვილს წლის საუკეთესო პედაგოგი ეთერ კაჭკაჭაშვილი ასწავლის და სწორედ ეს იყო მოტივი მისი ჩართულობისა და აქტიურობისა ამ პროგრამაში. საუკეთესო მეურვემ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა მარინა ბროიანმა ისაუბრა პროგრამის როლზე, რომლის შედეგადაც საკუთარი თემი, სკოლა გაამდიერა და თქვა, რომ ეს პროგრამა ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებას. სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის (ACETT) გრანტების მენეჯერმა თამარ ფრუიძემ შეაჯამა ღონისძიება და



სასკოლო ტექნიკის კონკურსში გამარჯვებული კლუბები (ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის, სოფელ რველის, ყვიზისის, ბაკურიანისა და დვირის საჯარო სკოლის) და სოციალური მედიის გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა. დასასრულს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა მარინე სუდაძემ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის გრანტების მენეჯერს თამარ ფრუიძეს

მადლიერების სერტიფიკატი გადასცა „პროექტ ჰარმონიის ფილიალს საქართველოში“ ოთხწლიანი ეფექტური და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. ასევე ახალციხის ახალგაზრდულმა ცენტრმა სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული ბანაკის პროექტების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობისათვის და დებატების ეროვნულ ტურნირში გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საცხე-ჯავახეთის პარტნიორი სკოლები, ახალციხის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორი ხათუნა ხმალაძე, ასპინძისა და სოფელ დამალის ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტი“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, მშობლები. ღონისძიება ადგილობრივმა ტელეკომპანია მე-9 არხმა და ადგილობრივმა გაზეთმა „სამხრეთის კარიბჭემ“ გააშუქა.



---

**ბუკლეტი შექმნილია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში**

**ქ. ახალციხე, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი, კოსტავას ქ. 79. ტელ: 0 (365) 22 08 77**

**Email: [icyakhalttsikhe@yahoo.com](mailto:icyakhalttsikhe@yahoo.com) ბლოგი: [Akhalttsikheyouthcenter.wordpress.com](http://Akhalttsikheyouthcenter.wordpress.com)**